საქ. სსრ ა. მაჩაბლის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

CCCP — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 298 (19440) ◆ შაბათი, 28 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ქინვალი: ისმის ბრძანება „გაშვება"

ეს, ამათ და მათმა ამხანაგებმა ააკიაფეს კიდევ ერთი ცისფერი ვარსკვლავი საქართველოს ენერგეტიკულ რუკაზე. არაგვის კალაპოტქვეშ 55 მეტრ სიღრმეზე აამუშავეს მათ ენინვალის ჰიდროკვანძის ბოლო ენერგოაგრეგატი; არაგვის წყალი თბილისის ზღვისკენ დაიძრა.

ო. თურაქიას და ვ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



კიდევ ერთი ცისფერი ვარსკვლავი აკიაფდა საქართველოს ენერგეტიკულ რუკაზე. 27 დეკემბერს მდინარე არაგვის კალაპოტქვეშ 55 მეტრ სიღრმეზე გაისმა ენინვალის ჰიდროკვანძის ელექტროსადგურის ბოლო ენერგოაგრეგატის ამოქმედების პატაკი. ოთხი ტურბინა ამ უთუოდ ესი კომპლექსისა, რომლის მშენებლობაც გათვალისწინებულია სკკპ XXVI ყრილობის გადწყვეტილებებით, განავითარებს 130 ათას კილოვატ საერთო სიმძლავრეს, ხელოვნური ზღვის წყალმა დაატბილა ტურბინების ფრთები და თბილისის ხელქმნილ ზღვისკენ დაიწყო დენა.

მრავალი წელია მიმდინარეობდა ეს უნიკალური მშენებლობა. და დღეს, ინჟინრული აზრის, მუშური ნიჭის, იმათი სიმამაცის ზეიმის დღეს, ვინც სამართლიანად უწოდებს თავს ენინვალელს, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ჰიდროკვანძისა და მისი კოლექტივის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

მშენებლობის ისტორიიდან: მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დამდეგს ჩამოიქცა ბოლო კუბური მეტრი ქანები წყალსატარ ტონელზე, და 40 კილომეტრზე მეტი სიგრძის მაგისტრალური ინტერნა, რომელიც მაცოცხლებელი ტენით მოამარაგებს რესპუბლიკის დედაქალაქს, გამჭოლი გახდა. სახელმწიფო კომისიამ აღნიშნა შეერთების უარესი სიზუსტე. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მშენებლობის ვეტერანს — გამოცდილ გვირაბმაშენებელს გიორგი მაცაბერიძეს. მრავალი თვის განმავლობაში მისი ბრიგადა წინ მიიწევდა და და... უკან ბრუნდებოდა. ბრუნდებოდა, რომ ზოგჯერ თავიდან დაიწყო საქმე. და ეს გამარჯვლებელია: ნიადაგის დაწნევა იმდენად დიდია, რომ ვერ უძლებდნენ სამგრების ფოლადის კოჭები. ბეტონს ფშვნიდა ჩამონაზვავები.

...თუ ხუთი წლის წინანდელ ინჟინერებს ახლანდელს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რამდენად ფაქიზად მოეპყრნენ ბუნებას ჰიდროშენებლები. ყველა უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური ნაგებობა, ასმეტრიანი ყინული კაშხლის გარდა, ღრმად არის მიწაში ჩამალული. არაგვის ფართო კალაპოტის სანაპირო ნაწილშია გაჩენილი საშენებლო ინდუსტრიის კომპლექსის

(დასასრული მე-2 გვ.).

დედაქალაქის კომუნისტთა ფორუმი

ᲓᲦᲔ, 28 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები თავიანთ მორიგ XXXX კონფერენციაზე შეიკრიბებიან. ისინი ღრმად და საფუძვლიანად გააანალიზებენ საანგარიშო პერიოდში მიღწეულს, ერთხელ კიდევ გაიაზრებენ, თუ რა გზით, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის რა ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით მიაღწიეს წარმატებებს, აგრეთვე კრიტიკულად შეაფასებენ საკუთარ ნაშოქმედარს, ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების განხილვიდან საჭირო დასკვნებს გამოიტანენ და მათ მომავალ საქმიანობაში გამოიყენებენ.

უდიდესია დედაქალაქის კომუნისტთა პასუხისმგებლობა პარტიის მიერ დასახული საერთო ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. პასუხისმგებლობას ერთგვარად ისიც ზრდის, რომ თბილისის პარტიულ ორგანიზაციას რესპუბლიკის კომპარტიის მებრძოლ რაზმს, მისი მუშაობის ლაბორატორიას უწოდებენ. და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან თბილისის პარტიული ორგანიზაცია მხოლოდ იმისათვის კი არ არის პასუხისმგებელი, თუ რაოდენ გამართულად, დახვეწილად ფუნქციონირებენ დედაქალაქის პარტორგანიზაციები. იგი მთელი რესპუბლიკის გული, მისი პარტიული ცხოვრების ბირთვია. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი ენთუზიაზმი, როგორი შემართება და სულისკვეთება აქვთ დედაქალაქის კომუნისტებს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა სასიამოვნო ამბავი — ქალაქ თბილისის მრეწველობამ შეასრულა წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალებები, ქალაქის მშენებლებმა შეასრულეს კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის ათვისებისა და საიჯარო სამუშაოთა მოცულობის დავალებანი. ხუთწლედის ფინიშზე ახალ-ახალ შრომითს გამარჯვებებს უპატაკებენ სამშობლოს დედაქალაქის მთელი რიგი საწარმოები. სხვადასხვაგვარია ინიციატორთა დევიზი: „ახალი ტექნიკის ათვისებას — პარტიული ზრუნვა", „ორი თვის დავალება — სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის, „წლიური გეგმა — ვადამდე " და ა. შ. წარმატებებია მოპოვებული მეცნიერების, კულტურის, ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ყოველივე ეს დიდი შრომის, იმ საქმიანობის ლოგიკური და კანონზომიერი შედეგია, რომელსაც თბილისის პარტორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცხობილი დადგენილებების შესრულებისათვის ეწევა.

უკეთესად უნდა წარიმართოს იდეურ-აღმზრდელობითი და პოლიტიკური მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად. დღეს კი, როგორც არასოდეს, საჭიროა ეკონომიკის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. უპირველეს საზრუნავად რჩება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნა. „იდეურ-პოლიტიკური აღზრდა ყველა თავისი ფორმით მაქსიმალურად უნდა იყოს დაკავშირებული დღევანდელობის მთავარ ამოცანასთან — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან". ამიტომაც მთელი ძალისხმევა ამას უნდა მოხმარდეს.

არის ერთი ფრიად ანგარიშგასაწევი მომენტი ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში, გამომდინარე იგივე ზემოხსენებული პლენუმიდან: „ზოგჯერ ასე ხდება: ადამიანს ერთი რამ ესმის, ცხოვრებაში კი სულ სხვა რამეს ხედავს. ეს სერიოზული და არა მარტო აღმზრდელობითი, არამედ პოლიტიკური საკითხიც არის". დროა ხალხს ველაპარაკოთ პირდაპირ, გულახდილად ვესაუბროთ ყოველგვარ პრობლემაზე. საბოლოდ და სავსებით უარი ვთქვათ მოჩვენებითობაზე. საქმისადმი ზეპირელ დამოკიდებულებაზე, მხოლოდ გარეგანი ეფექტებისათვის გამიზნულ ღონისძიებებზე. საქმის არსში წვდომა, ობიექტური ხედვა, ძალღონის დაუზოგავად, თავდადებით მუშაობა — აი, რა გვჭირდება დღეს.

საზრუნავი კი მათ ძალზე ბევრი აქვთ. მოუგვარებელია უამრავი პრობლემა. მაგალითად. არაერთგზის კრიტიკის მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია საქალაქო მეურნეობის საქმიანობაში. მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას კვლავ იწვევს ბინათმშენებლობის შეუწყობარებელი ხარისხი, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაობა. მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. ყველა ეს პრობლემა ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად უნდა დაისახოს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მუშაობაში არსებული ბევრი ნაკლი და ხარვეზი გამოავლინა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ, კომუნისტებმა ჩვეული პრინციპულობით ამხილეს და დღის სინათლეზე გამოიტანეს მათი აზრით ჩვენი დღევანდელობის, ჩვენი სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისათვის მიუღებელი ბევრი რამ. მათს კრებებზე მწვავედ, მთელი სიგრძე-სიგანით დასვეს ყველგან და ყველაფერში წესრიგის, შრომის და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცე დაცვის აუცილებლობის საკითხი. ნათლად გამოიკვეთა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მტკიცე და შეუპოვარი ბრძოლის პოზიცია. უამისოდ წარმატება არ მოვა.

დედაქალაქის კომუნისტები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, სკკპ წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების, გულთან ახლოს მიიტანეს ისინი, გამოთქვეს საგულისხმო წინადადებანი ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩვენი წინსვლისა და შენების საერთო პროგრამა თითოეულ მათგანს სისხლხორცეულ საქმედ აქვს მიჩნეული.

სულ რამდენიმე დღეა და მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო წელი ისტორიის კუთვნილება გახდება. კარს არის მომდგარი ახალი, 1986 წელი, სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების, ახალი ხუთწლედის პირველი წელი, დედაქალაქის კომუნისტებს შეგნებული აქვთ, რომ სწორედ ამ წელს უნდა გაკეთდეს ბევრი როგორც წარსულში არსებული ჩამორჩენის დაძლევის, ისე მომავალ წარმატებათა მტკიცე საძირკვლის ჩაყრისათვის. ეს არის დღეს თბილისის პარტიული ორგანიზაციის საზრუნავთა საზრუნავი, მუშაობის მაგისტრალური მიმართულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მორიგ სხდომაზე განიხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მოსკოვში გამართული 41-ე (რიგგარეშე) სესიის შედეგები და მოიწონა საქმიანობა, რომელიც ამ სესიაზე გასწია "საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით.

აღინიშნა, რომ სესიის შედეგები და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის მიღება დიდი წინგადადგმული ნაბიჯია უმაღლესი დონის ეკონომიკური თანამშრომლობა გადაწყვეტილებათა შესრულების გზაზე, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სოციალისტური თანამეგობრობის ცხოვრებაში. კომპლექსური პროგრამა მოწოდებულია განსაკუთრებული როლი შეასრულოს ჩვენი ქვეყნისა და მომავე სოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებაში, უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების კარდინალური გადიდება, სოციალიზმის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა მსოფლიოში. მისი რეალიზაცია კიდევ უფრო გაიღრმავებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ყოველივე ეს დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როცა მომძე სოციალისტური ქვეყნები ერთობლივი მეცადინეობით განმტკიცებენ თავიანთ შეკავშირებასა და ერთიანობას.

პოლიტბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ მომძე ქვეყნებმა დიდი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის ინიციატივას პროგრამის შემუშავებაში, მოწონებით აღიქვეს ის, რომ იგი მზად არის თავისი მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმო პოტენციალი მოახმაროს პროგრამის დავალებათა შესრულებისათვის მუშაობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის სხდომის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებთან და მომძე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებთან. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საშინაო ეკონომიკური და საერთაშორისო პოლიტიკის ძირეული საკითხებისადმი პრინციპულ მიდგომას, რომელიც მან ჩამოაყალიბა, მოლიანად დაუჭირეს მხარი და გაგებით მოეკიდნენ. მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ. პროგრამით გათვალისწინებულია, რომ შეიქმნას ყველა საჭირო პირობა, რათა საბჭოთა ორგანიზაციები აქტიურად ჩაებნენ პროგრამის შესრულებაში და ფართოდ დანერგონ წარმოებაში სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ბაზაზე. იმ ნაშუშევართა შედეგები, რომლებიც შესრულდება სხვა ქვეყნებთან ერთად პროგრამის რეალიზაციის დროს.

გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, შრომითი კოლექტივები უთუოდ შეასრულებენ საბჭოთა კავშირის ყველა ვალდებულებას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის საფუძველზე.

სახალხო მოხმარების საქონელზე მყოფელთა მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით პოლიტბიუროომ საჭიროდ ცნო შეიმუშაოს და ახალ ხუთწლედში განახორციელოს ღონისძიებანი, რათა სრულყოს მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების დაგეგმვა და მრეწველობასთან ვაჭრობის ურთიერთობა, გაადიდოს მათი ორმხრივი დაინტერესება მაღალი ხარისხისა და მრავალფეროვანი ასორტიმენტის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებით მოსახლეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინების საფუძველზე, აგრეთვე გააძლიერონ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისათვის საწარმოთა პასუხისმგებლობა.

კონტროლის წესით განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომლებიც დაკავშირებულია „დონის" მარკის მარცვლასაღები კომბაინების ოჯახის წარმოების ორგანიზაციასთან. განსაზღვრა ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და დასახული ამოცანების დროული შესრულების უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებანი.

პოლიტბიუროომ მოიწონა ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარესთან, რესპუბლიკის პრეზიდენტთან სადამ ჰუსეინთან ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ა. ა. გრომიკოს საუბრობისა და მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-ერაყის მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა, რომ თანამშრომლობა, რომელიც ეთთარდება სსრ კავშირსა და ერაყს შორის, მოლიანად შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებს. იგი ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის პრინციპიელი კურსის განუყოფელი საწილია, რომლის მიზანია ყველა მხარის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებითა და ყოველგვარი იმპერიალისტური ჩარევის გარეშე, მოლაპარაკების გზით დაძაბულობის ლიკვიდაციის და კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკური მოწესრიგება.

მოისმინეს ინფორმაცია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა ბუქარესტის შეხვედრის შესახებ. რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო და იდეოლოგიურ საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს საგარეო პოლიტიკის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი სხვა საკითხი.

სურათზე: შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

შეხვედრა კრემლში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ 27 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში მიიღეს საბჭოთა კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა გულთბილად მიულოცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანსა და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებს, მთელ საბჭოთა ხალხს კარს მომდგარი ახალი წელი. მ. ს. გორბაჩოვმა მადლობა გადაუხადა დიპლომატებს საბჭოთის მიმართ გამოთქმული კეთილი სურვილებისათვის.

დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს წინაშე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ახალი წლის დადგომის წინ, ნება მიბოძეთ, გულითადად მოგესალმოთ აქ, კრემლში, საბჭოთა კავშირში აკრედიტებულ უცხოთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს.

მივესალმები სოციალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომლებთანაც გვაკავშირებს ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის დასახული პროგრამების განხორციელებაში. ჩვენი საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, ქვეყნად მტკიცე მშვიდობის საქმისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

მივესალმები იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგრისაგან და დადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას, სახელმწიფოებრივი აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა ჩვენი ქვეყნისა და ხალხების ინტერესებს. იგი ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის პრინციპიელი კურსის განუყოფელი საწილია, რომლის მიზანია ყველა მხარის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებითა და ყოველგვარი იმპერიალისტური ჩარევის გარეშე, მოლაპარაკების გზით დაძაბულობის ლიკვიდაციის და კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკური მოწესრიგება.

ეს ბოლო ხანს აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის მოხდა სიგნალების გაცვლა, რომელიც საბავს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებებისაკენ წინსვლის ერთგვარ იმედს, უფრო ფრთხილადაც ვიტყოდი, იმედის ნაპირზეკლს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის შეხვედრის შედეგად, როგორც ახლა ამას ფართოდ აღიარებენ, რამდენადმე დათბა საერთაშორისო კლიმატი. გაჩნდა აგრეთვე გარკვეული შეხვედრა ტრატეგიები (უფრო პოტენციალი) ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკების პრობლემატიკასთან დაკავშირებით. როგორ წარმართება აქ საქმე, დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, თუ როგორ შეესახამს მატერიალურად ხორცს ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღწეული მორიგება. არადა, სწორედ ამ მოლაპარაკების დროს საქმის ვითარებაზე იქნება სწორედ დამოკიდებული, გაუმართლებს თუ არა ხალხებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტის იმედს 1986 წელი.

მთელი რიგი სახელმწიფოების კონსტრუქციული ძალისხმევის მეოხებით თითქმისდა იკვეთება ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენციაზე შესაძლო მორიგებათა კონტურები. მისმა ყველა მონაწილემ, ჩვენი აზრით, თავაუფლელე უნდა იმუშაოს, რათა სტოკჰოლმში მიაღწიონ დადებითს შედეგებს მომავალი წლის შემოდგომისათვის დასახული სრულიად ევროპის მორიგი შეხვედრის დაწყებამდე.

ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებაზე უფრო შესამჩნევი გახდა მხარეთა მისწრაფება გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები და წუხელი. ჩვენ ახლა საგულდაგულოდ ვსწავლობთ დასავლელ პარტნიორთა ბოლო წინადადებებს.

განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი ჟენევის კონფერენციის მონაწილეებს, როგორც ვვარაუდობთ, ახლა უკეთ ესმით იმის გადაუდებელი აუცილებლობა, რომ უნდა აიცრძალოს ქიმიური იარაღი, შეწყდეს ყოველგვარი ბირთვული გამოცდა, გამოირიცხოს ძალის გამოყენება კოსმოსში. მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზული ღონისძიებანი იქნება საჭირო. სსრ კავშირი მზად არის გაიაროს თავისი წილი გზა შეწონასწორებული მორიგებებისაკენ.

სახელმწიფო მოღვაწეების, ფართო საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრშია ახლა ბირთვულ აფეთქებათა საკითხი. უკვე რამდენიმე ათწლეულია ისინი აზანზარებენ ჩვენს დედამიწას. დრო ბოლო მოეღოს ამას. დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეაძლებელს ფარგლებშია.

ჩვენ მოვუწოდებდით და მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰბაძოს საბჭოთა კავშირის კარგ მაგალითს და შეწყვიტოს ყველა ბირთვული აფეთქება. ორმა უდიდესმა სახელმწიფომ ერთად რომ იმოქმედოს მთელი კაცობრიობისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხში, ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯი გადაიდგმებოდა.

თქვენი სახით, პატივცემულო დიპლომატიურო წარმომადგენლებო, მე მივმართავ ყველა სახელმწიფოსა და ხალხს: მოგით, ისე ვიმოქმედოთ, რომ 1986 წელი ისტორიაში შევიდეს როგორც ბირთვული აფეთქებების დასასრულის წელი, როგორც წელი, როცა ადამიანებმა იპოვეს საკუთარ თავში საკმარისი სული აზრი იმისათვის, რომ ვიწრო, ეგოისტურ მოტივებზე უფრო მაღლა დადგნენ და შეწყვიტონ საკუთარი პლანეტის ჭიჭყნა.

ვინაიდან ამ საკითხის გადაწყვეტისათვის თავის ასარიდებლად ხშირად იმიზეზებენ ეგრეთ წოდებულ კონტროლის პრობლემას, კოდევ ერთხელ სრულიად გარკვევით გავუსვამ ხაზს: რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ეს პრობლემა არ იქნება ლოდი დაბრკოლებისა. ბირთვული გამოცდების შეწყვეტისადმი კონტროლთან დაკავშირებით სსრ კავშირი მზად არის ყველაზე გადამჭრელი ღონისძიებებისათვის, მათ შორის ადგილზე შემოწმებისათვისაც.

ჩვენი ქვეყანა, რომელმაც საკუთარი მწარე გამოცდილებით იცის, თუ რა არის მუხანათური თავდასხმა, სხვაზე არანაკლებ

(დასასრული მე-2 გვ.).

შეხვედრა კრემლში

(დასასრული)

არის დაინტერესებული საიმედო და მკაცრი კონტროლით. ახლანდელ საერთაშორისო პირობებში, ურთიერთნდობის დეფიციტის პირობებში, კონტროლის ღონისძიებები უბრალოდ აუცილებელია. დაე, ეს იყოს კონტროლი ერთგნული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან საერთაშორისო კონტროლი, ოღონდ ეს იყოს კოკერტული მორიგებითა დაცვისადმი კონტროლი.

საბჭოთა ხელმძღვანელობა მზად არის მოლაპარაკებისათვის გონიერულ და პატიოსან საფუძველზე და სურს ჰქონდეს იმედი, რომ მისი პარტნორებიც რეალისტურ, სოლიდურ მიდგომას გამოიჩენენ. განახლებადი მოლაპარაკების ნიადაგზე უკვე დღეს კეთილი თესლი უნდა ჩავაყროთ, რადგან მხოლოდ მას შეუძლია მოგვეცეს კარგი აღმოსაცენი გაზაფხულზე და მოსავალი შემოდგომაზე.

და კიდევ ერთი დიდი და მწველავე პრობლემა. საბჭოთა კავშირი მტკიცედ არის განწყობილი საიმისოდ, რომ 1986 წელს იხილოს არსებითი პროგრესი ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ სპერიკაში, ავღანეთის ირგვლივ, სამხრეთ აფრიკასა და სპარსეთის ყურის რაიონში ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში. მზად ვართ სხვა ქვეყნებთან ერთად ეძიოთ სამართლიანი გადაწყვეტანი, მონაწილეობა მივიღოთ — სადაც კი საჭირო გახდება — შესაბამის გარანტიებში.

მისწრაფებას — ჩავაქროთ დაძაბულობის კერები და, ყოველ შემთხვევაში, არ მივცეთ მათ ზრდის საშუალება — ვნებს ჩვეენ — კონფლიქტურ სიტუაციებს შევუურებდეთ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკური თუ იდეოლოგიური კონფრონტაციის სამვალეთ. ბეცი და საშინი მიდგომა, როცა პოლიტიკას მედარ წარმოდგენებზე აგებენ. კონფლიქტები ადგილობრივ სოციალურ, ეკონომიკურ

ქინვალი: ისმის ბრძანება „გაშვება“

(დასასრული)

საწარმოები: ბეტონის და სამსხვრევე-სახარისხებელი ქარხნები, მოწყობილობის გამსხვილებული აწყობის ბაზა და სახელოსნოები.

ფინვალის პიროოკვანძის მშენებლობას ბევრ რამეში ეცადაგენ „პირველად“. საინტერნო პრაქტიკაში **პირველად** აშენდა უნიკალური. ბუფერული აუზი, რომელიც წყლის მძლავრი ნაკადის „ფისპტჩერი“ გახდება. მისი ნაწილი, რომელიც დაატრიალებს ტურბინებს, კვლავ შეუერთდება მდინარე არაგეს, მეორე ნაწილი კი წყალსადენებით თბილისს მოამარაგებს. **პირველად** ქართველმა მშენებლებმა გაიარეს გეოლოგიური თვალსაზრისით ასეთი რთული გრუნტები. საბჭოთა კავშირის პრაქტიკაში **პირველად** აქ გამოიყენეს წყალსატარისათვის 3,3 მეტრი დიამეტრის ბეტონის მილები, რომლებიც საკუთარი ძალებით დამაზადეს ადგილზე. **პირველად** აქ მიიღო ცხოვრების საგზური საუბრო იჯარამ.

მშენებლობის ისტორიიდან: მეთეთრმეტე ხუთწლედის მეორე წელს - სამშენებლო კონვეიერში თავი იჩინა შეფერხებებმა, კოლეტივი სერიოზულად ჩამორჩებოდა გრაფიკს. „ბევრ რამეში არითმია აიხსნებოდა მრავალი მშენებლობისათვის ჩვეული სენით, როგორიც არის მოწინავე ბაზზე მოქმედი სამშენებლო ქვეგანყოფების — უბნებისა და ბრიგადების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში დაშვებული შეცდომები. მაშინ კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს ქაიერგათ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი ფორმა: საუბრო იყარა. მუშაობის კარგი საბოლოოო შედეგით საერთო დაინტერესებამ ბეტონიერები და ბეტონიერებმა ბეგრ ამეზეთ ... ...

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ

გაეზარდოთ მეცნიერთა წვლილი

ᲩᲔᲜᲘ. ქვეყნის წინსვლა სულ უფრო მატად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპზე. ამ აზრით არის გამსჭვალული საყრილობლო პარტიული დოკუმენტები, რომლებიც განიხილა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესიამ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კ. ლიგაჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. პ. ალექსანდროვმა. საქიროა დიდად განვითარდეს ფუნდამენტური გამოკვლევები, განმტკიცდეს აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების კავშირი, გაიზარდოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ქვეყნის ყველა გამოკვლევის კოორდინატორის, როლი, — თქვა მან. უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება სახალხო მეურნეობის პრაქტიკაში სამეცნიერო შედეგების რეალიზაციის დაჩქარება, წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის ფორმების სრულყოფა. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დარგშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების შექმნის ღონისძიებებს, რომლებიც ახლახან მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ.

კამათში გამოსულმა მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ კვლევითი სამშენებლის ფორნტის გაფართოება, უწინარეს ყოვლისა, უნდა მიმდინარეობდეს იმ სამი მიმართულებით, რომლებიც დღეს განსაზღვრავენ პროგრესს სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე. ითქვა, თუ რაოდენ საჭიროა მეცნიერებათა აკადემიის უფრო აქტიური ზეგავლენა მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ტექნოლოგიის სრულყოფაზე, ნედლეულ რესურსების კომპლექსურ ათვისებაზე, სათბობ-ენერგეტიკული ბაზის განვითარებაზე.

(ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲗ

ᲬᲔᲚᲡ რესპუბლიკაში რამდენადმე შემცირდა მძიმე დანაშაულთა, მათ შორის — მკვლელობის, ძარცვის, პირადი ქონების ქურდობის საერთო რიცხვი. ეს მიღწეულია იმის შედეგად, რომ გაძლიერდა პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ფორმირებების პროფილაქტიკური მუშაობა. ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელშაც განიხილა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და ქვეგანაყოფების 1985 წლის ოპერატიულ-სასამსახურო საქმიანობის, ძირითადი შედეგები, და განსაზღვრა მათი ამოცანები 1986 წლისათვის.

მომხსენებელმა — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა გ. გეგეჭკორმ, აგრეთვე ორატორებმა აღნიშნეს, რომ წელს გაუჯობესებულა საზოგადოებრივი წესრიგი, რამდენადმე შემცირდა უბედურ პირთა რიცხვი, რომლებიც დანაშაულს ჩადიოდნენ, უფრო ზუსტად წყდება საგზაო მძიმრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები.

გაფართოებულ სხდომაზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში ქონებრივ დანაშაულობათა, უაზრიდობის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღინიშნა ფაქტები, როცა მილიციის ზოგიერთი მუშაკი შემრნგებლურად ეკიდა-ბა ნეგატიურ მოვლენებს, პირებს, რომლებიც აკლენენ ეკრძომესაკუთრულ მიდრეკილებებს, სოციალისტური კანონიერების ცალკეულ დარღვევებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული ქვეგანაყოფების მუშაობაში დაშვებული შეცდომების გამო ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში, მათ შორის თბილისშიც შედარებით ბევრი დანაშაული ხდება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, არ არის მიღწეული სათანადო დონე ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეუწყნარებელია ბარგიზები სახალხო მეურნეობაში ბორკმომქმედების თავიდან აცილებისათვის მუშაობაში.

ასეთი ნაკლოვანებების ერთობლიობამ, ითქვა სხდომაზე, გამოიწვია ოპერატიული ვითარების [illegible] ალიანს ეფუძნება, მკაფიოდ, ვრცლად ახასიათებს პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს და მთელი ხალხის მუშაობის ტაქტიკურ მიმართულებებს, ხელმძღვანელობს რა ქვეყნის განვითარების კომუნისტური პერსპექტივით (გვ.359).

ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტ[illegible] ... ეროვნული ... ...

მხრეს-გაშლილი დედა-თბილისი

ᲐᲛ ფოტოზე ნუკუტიძის დასახლების ერთ-ერთი ახალი მიკრორაიონია აღბეჟდილი. შეხეთ, რა სახლები წმამძართული ხრიოკ ფერდობზე. თუმცა, გუშინ და გუშინწინ თუ ეთქმოდა ხრიოკი აქაურობას, თორემ დღეს ეს ლამაზი უბანი თბილისის მკვიდრი „მოქალაქეა“ — თბილისური ჯაპა-პორტით.

დ. იაკობაშვილის ფოტო.



ᲡᲐᲯᲝᲒᲐᲓᲝᲗᲒᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘ

ᲥᲣᲘᲑᲘᲨᲕᲘ. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ბოლო ათი წლის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭო. მისი წევრები სწავლობენ სოციოლოგიურ პრობლემებს, თავს უყრიან და შეისწავლიან მშრომელთა შენიშვნებს, წინადადებებს, სურვილებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

ამასწინათ საბჭომ ქალაქის სამთო საწარმოებში გაავლინა კითხვარი, რომლის მიზანია მეშტეტთა კადრების დენდობისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხების შესწავლა. კითხვარს მრავალმა მშრომელმა გასცა პასუხი, რომლებსაც ამჟამად უკვე შესწავლიან და განაზოგადებენ.

ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲗᲘᲡᲚᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲬᲚᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ამ დღეებში ჭიათურის მაღაროელთა კულტურის სასახლეში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ენათმეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ქართული ენის კათედრის პირველი გამგის, უნივერსიტეტის პირველი სწავლული მდივნის პროფესორ იოსებ ყიფშიძის დაბადების 100 წლისთავს. სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ხოფერიამ.

სესიაზე გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ნ. ეკიელაძე, კ. დანელია, ს. ჯორბენაძე და სხვები. სტუმარ-მასპინძლებმა ყვავილებით შეამკეს პროფესორ ი. ყიფშიძის ძეგლი, რომელიც ჭიათურის ელექტრომეს სახლის ეზოში აუგეს ამაგდარ თანამემამულეს. სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ“ №6

ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲓᲐ საქართველოს სსრ ეუსტატიკის სამინისტროს პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა სამართლის“ მორიგი მე-6 ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწონაგე წერილით — „კანონიერების განმტკიცება პარტიის სპაროგრამა ამოცანაა“.

რუბრიკით — „განვიხილავთ ახალ პარტიულ დოკუმენტებს“ ჟურნალი აქვეყნებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის პ. გათიკოევის წერილს „პროკურატურის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტის ბ. ფოლის სტატიას „საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომელთა სამართლებრივი აზრზრდა“. ფრედრიხ ენგელსის დაბადების 165-ე წლისთავს ეძღვნება სარედაქციო წერილი „მარად უკანონი მოძღვრება“, ხოლო გიორთიანებული ერების ორგანიზაციის 40 წლისთავს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების, სახელმწიფო პრემის ლაურეატის ლ. ალეკსიძის სტატია „მსოფლიოში შვიდიზმანი თანაარსებობისათვის“.

აქვეა დაბეჭდილი წერილები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შ. გოგოგაძისა — „არ დაგინდოთ სახალხო დოვლათის დამტაცებლები“, სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის ნ. გოგოგბიანისა — „პროდუქციის ხარისხის უფლებრივი რეგულირება“, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაბრაშვილების სოციოლოგიის ლაბორატორიის გამგის, პროფესორ ა. ბაბიანისა — „ნაყოფიერი შრომის ათი წელი“ და სხვ.

მკითხველებს დაიინტერესებს საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის ახალი წესები.

ᲡᲔᲕᲓᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲕᲘᲪᲐᲠᲡ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ

მორალის თემაზე

ᲑᲐᲐᲣᲠᲘᲐᲜᲔᲚᲘ რუსლან ჯანგობეგოვი ალამ უფროროდის უნივერსიტეტში სწავლის დროს გიაცნო და ცოლად გაჰყვა. პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვაჟიშვილიც შეეძინათ, რომელსაც მამის პატივსაცემად რუსლანი დაარქვეს. მერე ეთად ცხოვრება აუტანელი გახდა. ქალმა მშობლებთან წაიყვანა ვაჟიშვილი და წავიდა. მასთან კონტაქტი არ გიუწყვეტიათ ქმრის ნათესავებს, ხშირად სწერდნენ, სთხოვდნენ დაბრუნებას, „შვილო ალა, ჩვენ შენი ფასი არავინა გვაყვეს, ყველაფერში ჩემი შვილია დამნაშავე, იქნებ როგორმე ამატეხ ყველაფერი და დაბრუნდე“ — სწერდა მამამთილი. მერე მაზლმა და რძალმაც ჩაიკითხეს და ალა კვლავ დაბრუნდა საქართველოში.

ბორჯომში, სადაც რუსლან ჯანგობეგოვს კარგ ეკონომიკინდნენ, ცხოვრება არ გაუხარებინთ, ბინა მიიღეს და ქალიშვილიც შეეძინათ.

მაგრამ ოჯახში წყალი მაინც არ დაწმენდილა. ჩხუბსა და უსიამოვნებას ბოლო არ უჩანდა. ალამ სამსახურიც დაიწყო. მეზობლებიც და თანამშრომლებიც მხარში ედგნენ. იქნებ ყველაფერი გამოსწორდეს, შვილის გულისთვის მოვთმენო, ფიქრობდა ქალი, რადგან სწამს, პირველ რიგში საყვარელი ადამიანისათვის და შენი ოჯახისათვის უნდა იცხოვრო. სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს მის მეუღლეს. ადამიანი, რომელიც ბოლოდ თავის თავზე ფიქრობს, მხოლოდ თავის სიამოვნებაზე, რომელსაც მიაჩნია, რომ თვითონ იდეალური, ყველაფერში უნიკალური.

ბავშვებს ღილიდან საღამომდე დედის ლანძღვა ესმოდათ.

— მაწყნარო, უსამეური, სირცხელითა, ეუნაში დედასთან არავინ გნახოს გავლილო, — ეუბნებოდა 7 წლის გოგონას.

დასცინოდა უფროს ვაჟიშვილს. ერთხელ, სიტყვა რატომ შემოშიბრუნეო, ფაფით სავსე ქვაბი თავზე ჩამოამხო.

— იცოდა, სიბნელის მეშინოდა, — მითხრა შემდეგ ბატარა რუსლანმა — და ყოველთვის ცდილობდა ეს „სიამოვნება“ არ მოეკლო ჩემთვის.

არც ფიზიკურ შეურაცხყოფას აკლებდა ვაჟს, რის გამიც ხშირად დადიოდა ლოყებდალურჯებული ყმაწვილი.

მამასთან და დასთან ურთიერთობაში ბატარა რუსლანის ღირსება ყოველთვის შელახული რჩებოდა, შელახულმა ღირსებამ, შეურაცხყოფილმა თავმოყვარეობამ კი ცუდი გრძნობების გაჩენა იცის, განსაკუთრებით მოზარდის გულში. ბავშვის მეხსიერებაში მტკიცედ ალიბეჭდა ყველა დეტალი. ყოველთვის უკვირდა მამის საქციელი, რატომ ეფერებოდა მხოლოდ ირინეს. რას ერჩოდა თვითონ მას?

და მის სულში გაჩნდა ღრმა და პირშეუერავი იარა.

ჯანგობეგოვის ტიპის ადამიანებმა ზედმიწევნით იციან თავიანთი უფლებები. რაც შეეხება მოვალეობას, ამ მხრივ ზმირად ცდებიან.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲚᲘᲗ საკმი დაიკვეს ახალგაზრა ადამიანებმა. ერთ წელზე მეტ ხანს მოკმედებდა თბილისში დამნაშავეთა ეს ჯგუფი, რომელთა სინდისზეა ათობით ბინის ქურდობა. არანაკლები დრო დასჭირდათ საგამოძიებო ორგანოებს, სასამართლოს კი საკადრისად მეეზღო დამნაშავეებისათვის. გუშინდელმა არასრულწლოვანებმა მრეფე გზით შედგეს ფეხი ცხოვრებაში.

პირველად ჩვიდმეტი წლის ზ. ოდიშელიძემ და ვ. ჩხეიძემ ქურდობა ჩაიდნეს 1983 წლის მაისის დამლეს. შუაღამისას ისინი შეიპარნენ ტ-ს ბინაში. მასპინძლები შინ არ იყვნენ. ბოროტგამზრახველებმა მშვიდად ჩაიტენეს ჯიბეში ძვირფასეულობა, სხვა განძი ჩაალაგეს ჩანთებსა და ჩემოდნებში, ხოლო რაც არ ჩაეტია — შეფფეთეს მუყაოს კოლოფებში. ნაპოვნილი დამნაშავეებმა ჯერ გადაამალეს ოდიშელიძის ბინაში, მალე კი „ნადავლი“ გაასაღეს. ამოგებული თანხით ქურდები მდიდრულად გამოეწყვნენ, ყველას თვალწინ ფახტაჯნენ ფულს, ერთი სიტყვით, „ლამაზი ცხოვრება“ დაიწყეს.

არავინ შეეკადა გზიდან აცდენილები ქეშმარიტების გზაზე

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲗᲔᲡᲐᲕ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲝᲛᲔᲙᲘ

ᲥᲕᲔᲚᲘ, ᲠᲘᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲜ

დაეყენებინა...

დაუსჯელობა, ჩვეულებრივ, გაბუკეთხობის შეგრძნებას ბადებს. მეტი წილი მომდევნო დანაშაულობების ორგანიზატორმა ოდიშელიძემ უფრო რთული „საქმე“ წამოიწყო. ს. ზაქალაშვილისა და დ. დიმელაშვილის დახმარებით, რომლებიც შემიდგ მისი უფლოესი თანამონაწილეები გახდნენ, „წინაძმღოლი“ ყაჩაღურად თავს დაესხა ე-ს ბინას.

და ისევ შერჩათ ეს ბოროტმოქმედი. ოდიშელიძემ ცოტა ხნის შემდეგ ჯ. ეკიზაშვილს წინადადება მისცა გაპყოლოდა იოლ „საშოკარზე“. სწორედ ასეთი დაპირებებით ირეგვდა იგი თანატოლებს დანაშაულებრივ მოქმედებაში. აქედან ერთ-ერთი უკვე შეიარაღებული იყვნენ დანთ და უყოყმანოდ გამოიყენეს იგი — დაჭრეს სახლის პატრონი.

ეზრი არა აქვს დაწერილობით ჩამოთვალოთ დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეთა ყველა ბოროტმოქმედება. არსებითად, ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გულმოდგინე მუშაობის დროს გახსენეს ათობით დანაშაული, ამასთან ათი არაერგასიტრირებული, რამაც გაართულა სამმებრო სამსახურის მუშაკთა მოქმედება.

ახლა კი — იმათ შესახებ, ვინც არ მოხვედა განსასჯელის სკამზე, მაგრამ ვალდებულია მორალურად აგოს პასუხი მოზარდთა სამართალდარღვევებისთვის. უწინარეს ყოვლისა, ესენი არიან მსჯავრდებულთა მშობლები.

ვინ არიან ისინი?

— ბევრი მსჯავრდებული იზრდებოდა, როგორც იტყვიან, არეულ ოჯახებში, — თქვა ლიტ მიერორაიონის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. სახელოვაძემ. — იზრდებოდნენ ჩხუბის, ლანძღვა-გინების, მთვრალთა აყალ-მაყალის პირობებში. ზოგიერთმა მშობელმა კი თვითონ მისცა „მაგალითი“ შვილებს. მაგალითად, ზ. ოდიშელიძის მამა დიდხანს იხდიდა სასჯელს მძიმე დანაშაულისათვის, დედამ კი საერთოდ ჩაიქნია ხელი შვილის აღზრდაზე.

და გასაკვირი არაფერია, რომ ბავშვებს მხედველობიდან გამორჩით შვილების ზნეობრივი ჩამოყალიბების გარდატეხის ეტაპი. როცა ისინი მრეფე გზას დაადგნენ, მოზრდილებმა არსებითად თვალი აარიდეს მათს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ადამიანებმა ვერ მოიხადეს ვალი შვილებისა და საზოგადოების წინაშე. და უფრო მეტიც: თავიანთი უმოქმედობით აწ მსჯავრდადებულთა დედები და მამები ხელს არ უშლიდნენ მათი დანაშაულებრივი მიდრეკილებების განვითარებას.

მთელ რიგ მსჯავრდადებულთა მშობლები სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ქარხანა „საქსოფლმანქანაში“. და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაცია, პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ დაინტერესებულან ამით, თუ რას აკეთებდნენ მათი მუშაკები ანაკმეთა დროს, როგორი ატმოსფერო სუფევდა მათს ოჯახში, როგორ ცხოვრობდნენ მათი შვილები. პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, მთელ რიგ მუშებთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ, სამწუხაროდ, ბევრს აქ არც კი სცოდნია ჩადენილი დანაშაულობანი.

ქურდების ჯგუფის წევრთა უმრავლესობა ცხოვრობდა ლიფლში, ქარხანა „საქსოფლმანქანის“ დასახლებაში. მათგან ოთხი ერთ დროს სწავლობდა თბილისის 107-ე საშუალო სკოლაში. ზაქალაშვილმა, იორამაშვილმა, ჩხეიძემ აქ დაამთავრეს 8, თ. ბიკაშვილმა კი 10 კლასი.

— სკოლაში დისციპლინა არ მოიკოქლებს, მოსწავლეები გაკეთილებს არ აცდეხენ, — თქვა სკოლის დირექტორმა შ. ლეკიშვილმა. — სწავლეგა ექვემდებარება პროგრამის მოთხოვნებს. ჩვენ ხომ დანაშაულებს არ ვზრდით.

დანაშაულებს, რა თქმა უნდა, სკოლაში არ ამზადებენ. მაგრამ ხელს არ უშლიან დანაშაულად გადადმას. მასწავლებლები მშობლებივით უძლური აღმოჩნდნენ იმაში, რომ მოსწავლეებისადმი გაეღიძებინათ საზოგადოებრივად სასარგებლო ინტერესები. მთელი რიგი ახალგაზრდების მსოფლმხედველობის, ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირების პროცესი მასწავლებელთა თვალთახედვის მიღმა აღმოჩნდა.

მსჯავრდადებულთაგან სამი — ოდიშელიძე, ზაქალაშვილი, ჩხეიძე, — სწავლობდა ქალაქის № 63 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც ლიფლში მდებარეობს 107-ე სკოლის გვერდით. პროფტექნიკური სასწავლებლის — ოსტატების თვალის მოვალეობად არ მიუნიეთიათ ზემოქმედება მოგზდინათ აღსაზრდელთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესზე, და როგორც კი გავიდა სწავლების ვადა, სრულიადაც მიაეგზავნა ისინი. როგორც იტყვიან, თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო. და განა გასაკვირია, რომ 1984 წლის ივნისში „საქნავთობის“ გარეშე მისულ სამეულს, რომლებიც ყოფილი დამბიგებლების ყველგვარ კონტროლს იყენებენ მოკლეულნი, არც კი უფიქრია შრომის დაწყება.

— ადამრდელობითი მუშაობა სასწავლებელში დაბალ დონეზე იყო, — თქვა ქალაქის № 63 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ ა. ლოლაძემ. — წინანდელი ხელმძღვანელობა შეიცვალა. ჩვენს ბრალს ვაღიარებთ.

ასეთი აღიარება საქმეს არ შველის.

გარდა ამისა, ოდიშელიძე, ზაქალაშვილი და იორამაშვილი ჯერ კიდევ ჯგუფური დანაშაულის ჩადენამდე აღრიცხვაზე იყვნენ სასარჩხო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში. მაგრამ აქაც „ძეხელ“ მოზარდთან მუშაობა თვითდინებაზე იყო მიშვებული.

შედეგი ნაილენ და სამწუხაროა: მშობლების, სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებლებისა და საწარმოო სწავლების ოსტატების, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის მუშაკთა გულგრილობამ. მოზარდთა აღზრდისადმი მოჰკვეთა დანაშაულობათა ჩადენა... რასაც დათესავ, იმას მოიმკი.

ᲚᲘᲐ ᲞᲐᲞᲐᲫᲘᲜᲘ,
საქინფორმის კორ.

ᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲠᲨᲘ. (საკ. კორ.). ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1985 წლის ჩემპიონატი ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲨᲘ. ბოლო ტურმა, როგორც ეს ფინიშს სჩვევია, გარკვეული მოულოდნელობები შემოგვთავაზა. სტურუამ თეთრებით ვერ მიიღო უპირატესობა ჯანყოფასთან და მატოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. აზმაიფარაშვილს უპირატესობა ჭრონდა მანაგაძესთან, მაგრამ შემდეგ შეიცდა, თანაც ცაიტოტში. ნორჩი ᲠᲣᲗᲗᲐᲗᲘᲡᲘᲚᲘ ზუსტად თამაშობდა და ჩემპიონობის პრეტენდენტთან გამარჯვება მოიპოვა. ბოკუჩავას შუა თამაშში ძოსაგები პოზიცია ჰქონდა ზაინიეთან, მაგრამ რამდენიმე მძიმე შეცდომა მოუვიდა და დამარცხდა. გუფილდმა მოუკო გიორგაძეს, მალამბერიძე-გელდეანიშვილი და ბალთოუროგ-იალლანი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად 9,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გიაყვეს დიდოსტატმა გენადი ზაინიეთა და საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ, 9-9 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გიაყვეს დიდოსტატმა ედუარდ გუფილდმა და საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. 7,5 ქულით მეხუთე ადგილზეა ოსტატი გია გიორგაძე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის 132-ე სკოლის მეცხრეკლასელის, 15 წლის ოსტატობის კანდიდატის ლაშა ჯანჯღავას დიდი წარმატება. იგი ამგვარ „ტურნირში პირველად მონაწილეობდა, მაგრამ კომბინაციურად, შინაარსიანი თამაშით გვიჩვენა და 7 ქულით მეექვსე ადგილი დიაკავა, ახლა ჯანჯღავა მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე იასპარეზებს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე ორი ნორჩი ოსტატობის კანდიდატის — კახა შალამბერიძისა (5,5 ქულა) და ქეთევანისელი ნუკრი მანაგაძის (5 ქულა) შეუპოვარმა თამაშმა. ვფიქრობთ, მათ ამ ტურნირში ძალზე სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს.

Ზ. ᲑᲐᲛᲠᲘᲫᲔᲚᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ. ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲨᲘ, 22 წლის დონეკელმა ᲡᲘᲠᲝᲒᲘᲡ ᲑᲣᲑᲐᲐᲗᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ საბჭოთა ეკონომისტების ყოველუნიონო ტრადიციულ კონკურსში, რომელმაც 1985 წლის 10 სექტემბერს სპორტსმენი გამოავლინა. იგი ზედიზედ მეორედ დასახელეს წლის საუკეთესო სპორტსმენად. მეორე ადგილი მიაკუთვნეს ბაკოელ სტუდენტს, მსოფლიო ჩემპიონს ᲫᲣᲓᲝᲠᲐᲫᲔ ᲒᲐᲠᲘᲜ ᲯᲐᲣᲠᲐᲕᲘᲡᲗᲡ, მესამე ადგილზე დასახელებულია მსოფლიო რეკორდსმენი ᲘᲒᲝᲠ ᲮᲐᲥᲚᲘᲜᲘ. ᲐᲗ საუკეთესო სპორტსმენთა სიაში მომდევნო ადგილებზე არიან: 4. ᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲝᲚᲝᲕᲘ (ვლადიმირი, სპორტული ტანვარჯიში); 5. ᲐᲠᲒᲘᲜᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲜᲘᲜᲘᲗᲘ (კაუნასი, კალათბურთი); 6. ᲘᲒᲝᲠ ᲕᲔᲚᲘᲬᲙᲘᲜᲘ (მინსკი, საცეგუთაო სპორტი); 7. ᲘᲣᲠᲘᲡ ᲖᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐᲜᲘ (ლენინაკანი, ძალოსნობა); 8. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲤᲐᲓᲔᲔᲕᲘ (მოსკოვი, ფიგურული სრიალი); 9. ᲘᲣᲠᲘᲛᲐ ᲮᲘᲠᲘᲜᲝᲕᲘ (მოსკოვი, ფეხბურთი); 10. ᲔᲚᲔᲜᲐ ᲨᲣᲨᲣᲜᲘᲜᲐ (ლენინგრადი, სპორტული ტანვარჯიში).

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲠᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. კაუნასში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ტურნირის ბოლო მატჩში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დამამარცხა ზაპოროჟიეს ოსტატება ზურაბ სტურუამ, 9-9 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გიაყვეს დიდოსტატმა ედუარდ გუფილდმა და საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. 7,5 ქულით მეხუთე ადგილზეა ოსტატი გია გიორგაძე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის 132-ე სკოლის მეცხრეკლასელის, 15 წლის ოსტატობის კანდიდატის ლაშა ჯანჯღავას დიდი წარმატება. იგი ამგვარ „ტურნირში პირველად მონაწილეობდა, მაგრამ კომბინაციურად, შინაარსიანი თამაშით გვიჩვენა და 7 ქულით მეექვსე ადგილი დიაკავა, ახლა ჯანჯღავა მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე იასპარეზებს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე ორი ნორჩი ოსტატობის კანდიდატის — კახა შალამბერიძისა (5,5 ქულა) და ქეთევანისელი ნუკრი მანაგაძის (5 ქულა) შეუპოვარმა თამაშმა. ვფიქრობთ, მათ ამ ტურნირში ძალზე სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს.

Ზ. ᲑᲐᲛᲠᲘᲫᲔᲚᲘ.

რედაქტორი
Ზ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ დღესასწაულის დღეებში კლუბებში, სკოლებსა და საცხოვრებელ სახლებში აკეთდა საახალწლო ნაძვის ხეები.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲞᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲐᲫᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ

ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ. ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲒᲨᲘ